

აუდიტის პროფესია და ზედამხედველობა საქართველოში

პროექტის დაწყების ღონისძიება -
ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახური

21 ივნისი, 2017 წ.

დღის წესრიგი

- ▶ აუდიტის პროფესია და ზედამხედველობა საქართველოში
 - ▶ გლობალური ტენდენციები და საუკეთესო პრაქტიკა
 - ▶ მოკლე ისტორია
 - ▶ შესაძლებლობები და გამოწვევები საქართველოში
 - ▶ თანამშრომლობის მიმდინარე მდგომარეობა

გლობალური ტენდენციები და საუკეთესო პრაქტიკა

- ▶ დღევანდელ მიდგომას, რომელიც აუდიტის პროფესიის საჯარო ზედამხედველობას გულისხმობს, საფუძველი ჩაეყარა 2002 წელს სარბეინს-ოქსლის აქტის მიღებით. მანამდე აუდიტის პროფესია მეტწილად თვითრეგულირებადი იყო.
- ▶ საყოველთაოდ მიღებულია ის აზრი, რომ აუდიტის პროფესიის ეფექტიანი თვითრეგულირება შეუძლებელია, რადგან აუდიტორული მომსახურების განხორციელებისა და მოწყობისთვის დამახასიათებელია ისეთი სტიმულები, როგორცაა, მაგალითად:
 - ▶ „კლიენტსა და აუდიტორს შორის“ ურთიერთობის თანმდევი ინტერესთა კონფლიქტი;
 - ▶ აუდიტის ხარისხის სტიმულირებისთვის შეიძლება მხოლოდ საბაზრო ძალები არ აღმოჩნდეს საკმარისი;
 - ▶ დაურეგულირებელ ბაზარზე გადაწყვეტილების მიმღებმა შესაძლოა უფრო მეტი მნიშვნელობა მიანიჭოს ფასს და „კეთილგანწყობას“, ვიდრე აუდიტის ხარისხს;

გლობალური ტენდენციები და საუკეთესო პრაქტიკა

- ▶ აუდიტის პროფესია ერთ-ერთი ყველაზე რთული და კომპლექსური პროფესიაა რეგულირებისა და ზედამხედველობის თვალსაზრისით.
- ▶ სათანადო წესით ჩატარებული აუდიტი არაერთ კომპლექსურ შეფასებას (განსჯას) ეყრდნობა, რომლებსაც აუდიტორები აუდიტის ჩატარების პროცესში დიდი რაოდენობით შეგროვილი მტკიცებულების ანალიზის საფუძველზე აკეთებენ აუდიტირებული საწარმოსა და მისი საქმიანობის, შიდა კონტროლის სიტემისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ.
- ▶ გარდა ამისა, აუდიტორი საფუძვლიანად უნდა იცნობდეს მოცემულ დარგს და ასევე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, რომლებიც გავლენას ახდენს აუდიტირებულ საწარმოზე.
- ▶ ამასთანავე მას უნდა ჰქონდეს აუდიტის სტანდარტებისა და შესაბამისი სააღრიცხვო სისტემის ღრმა ცოდნა და დიდი გამოცდილება.
- ▶ აუდიტი არ ნიშნავს გარკვეული პროცედურების რუტინულ გამეორებას, წინასწარ განსაზღვრული განრიგის ზედმიწევნით მიყოლას და შესაბამისი ჩეკლისტების პუნქტების შესრულებულად მონიშვნას.

გლობალური ტენდენციები და საუკეთესო პრაქტიკა

- ▶ ამიტომ, უადრესად მნიშვნელოვანია, რომ აუდიტის ზედამხედველობაში ჩართულ ადამიანებს ჰქონდეთ აუდიტის პროცესის სიღრმისეული ცოდნა და აუდიტის უშუალოდ ჩატარების დიდი გამოცდილება.
- ▶ როგორც აუდიტორების, ისე ზედამხედველების რესურსი შეზღუდულია. მხოლოდ საკმარისი პროფესიული კომპეტენციის მქონე ზედამხედველს შეუძლია რეგულირების მიმართ რისკზე დაფუძნებული მიდგომის გარანტირება, რაც ყველაზე უკეთ ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესს.
- ▶ მარეგულირებლის არასაკმარისი პროფესიული კომპეტენციის გამო შეიძლება ზედამხედველობის პროცესში ყურადღება გამახვილდეს უსარგებლო ფორმალობებზე, ხოლო რისკების მიმართ ყურადღება მოდუნდეს. მოხდეს აუდიტორების იძულება, რომ დახარჯონ დიდი დრო და რესურსები მარეგულირებლის ფორმალური მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, ინფორმაციისა და განმარტებების წარმოდგენაზე, ანგარიშგებასა და სხვა ფორმალობებზე, და ამით რესურსების მოცდენა ნაცვლად იმისა, რომ აუდიტორებმა შეასრულონ თავიანთი საქმიანობის რეალური და მნიშვნელოვანი მიზანი.

გლობალური ტენდენციები და საუკეთესო პრაქტიკა

- ▶ საზედამხედველო ორგანოები აწარმოებენ აუდიტის ხარისხის მონიტორინგს და უზრუნველყოფენ მის გაუმჯობესებას შემდეგი მიდგომების გამოყენებით:
 - ▶ აუდიტორების ხარისხის კონტროლის პროცესის რეგულარული მიმოხილვა;
 - ▶ კონკრეტული აუდიტორული გარიგებების რეგულარული მიმოხილვა;
 - ▶ ისეთი წესებისა და რეგულაციების შემუშავება, რომლებიც აუდიტორების ხარისხის კონტროლის პროცესის გაუმჯობესების სტიმულს იძლევა;
 - ▶ გამოძიებების ჩატარება და, არსებითი ნაკლოვანებების აღმოჩენის შემთხვევაში, სანქციების დაწესება, მათ შორის ბაზრიდან აუდიტორის გაძევების უფლება, თუ ამ უკანასკნელს არ შეუძლია ან არ სურს პროფესიული სტანდარტების დაცვა

გლობალური ტენდენციები და საუკეთესო პრაქტიკა

- ▶ აუდიტის პროფესიის რეგულირებისთვის დამახასიათებელი სირთულეები მნიშვნელოვან გამოწვევებს ქმნის საზედამხედველო ორგანოების შექმნის, დაფინანსების, დაკომპლექტებისა და ეფექტიანი ფუნქციონირების მხრივ.
- ▶ საყოველთაო შეთანხმებით, საზედამხედველო ორგანო დამოუკიდებელი უნდა იყოს აუდიტის პროფესიისგან.
- ▶ უმრავლეს შემთხვევაში, საზედამხედველო ორგანო დამოუკიდებელი ორგანიზაციაა. იშვიათ შემთხვევებში, იგი სხვა მარეგულირებელი ორგანოს ან ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობაში შედის.
 - ▶ ისეთ ქვეყნებში, სადაც აუდიტის პროფესია შედარებით მცირემასშტაბიანია ან ახლა იკიდებს ფეხს, შეიძლება გონივრული იყოს აუდიტის ზედამხედველობის ორგანოს გაერთიანება სხვა, უკვე დამკვიდრებულ მარეგულირებელ ორგანოსთან, რომელიც იხეირებდა ასეთი სინერჯისგან და ახალ მარეგულირებელ ორგანოს გაზრდის დროს და საშუალებას მისცემდა;
 - ▶ საზედამხედველო ორგანოს ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობაში ყოფნა მას უფრო მეტად შეუქმნის პოლიტიკურ რისკებს. ამიტომ საჭიროა ნაბიჯების გადადგმა იმისათვის, რომ მოხდეს საზედამხედველო ორგანოს მეტი დამოუკიდებლობის გარანტირება, მაგალითად, ხელმძღვანელობისთვის უფრო ხანგრძლივი ვადის დაწესებით, დამოუკიდებელი საბჭოს შექმნით, ბიუჯეტის განაწილების წესის შემოღებით, რომელიც არ იქნება დამოკიდებული სამინისტროში წამყვანი ხელმძღვანელობის შეცვლაზე და სხვ.

ისტორია I ფაზა – 90-იანი წლები

კანონით დაწესებულია
სავალდებულო
ანგარიშგება და აუდიტი

საქართველოს
პარლამენტთან არსებული
ბუღალტრული
აღრიცხვის და აუდიტის
საზედამხედველო
ორგანო

აუდიტი ხდება
ლიცენზირებული
საქმიანობა.

სავალდებულო აუდიტის
და ანგარიშგების
მოთხოვნები შემოღება
მოხდა „საუკეთესო
პრაქტიკის“
გათვალისწინებით, მათი
მაშინდელი ეკონომიკური
მდგომარეობის,
საჭიროებებისა და
საზოგადოებრივი
ინტერესისადმი
მისადაგების გარეშე.

არასაკმარისად
დაფინანსებული და
დაკომპლექტებული
საზედამხედველო
ორგანო.

ე. წ. „200-ლარიანი
აუდიტორული
დასკვნების“ გამოჩენა

აუდიტის პროფესიის
დისკრედიტაცია

საზედამხედველო
ორგანოს დისკრედიტაცია

ისტორია

II ფაზა – 2000-იანი წლები

სავალდებულო ანგარიშგებისა და აუდიტის გაუქმება და სექტორული მარეგულირებლებისთვის ნებართვის მიცემა, რომ თავიანთი ზედამხედველობის ფარგლებში შემოიღონ ანგარიშგებისა და აუდიტის მოთხოვნები

საზედამხედველო ორგანოს ფორმალურად ძალაში დარჩენა, მაგრამ მისი უფლებამოსილების ფაქტიურად შეწყვეტა აუდიტორებისთვის სალიცენზიო მოთხოვნების გაუქმებით (დე-ფაქტო დერეგულაცია)

აუდიტის პროფესიის რეგულირება თავისუფალი ბაზრის მეშვეობით ხდება

კლიენტების მიერ აუდიტორული მომსახურების შესყიდვა მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში და, შესაბამისად, უპირატესობის მინიჭება საერთაშორისო რეპუტაციის მქონე სანდო აუდიტორებისთვის.

პროფესიისადმი ნდობის დაბრუნება, მაგრამ მისი კონცენტრირება მხოლოდ რამდენიმე მსხვილ კომპანიაზე

მთავრობის მიერ აუდიტორული კომპანიების შერჩევასთან დაკავშირებული სირთულეები, რისი შედეგიცაა „360-ე თავი“

ძირითადი შესაძლებლობები და გამოწვევები საქართველოში

▶ შესაძლებლობები:

- ▶ დადებითი იმპულსი კორპორატიულ სექტორში კორპორატიული მართვის განვითარებისთვის
- ▶ აუდიტის ხარისხის გაუმჯობესება შედარებით მომცრო/ადგილობრივ აუდიტის ფირმებს შორის და საზოგადოების ნდობის გაღრმავება შედარებით მომცრო/ადგილობრივი აუდიტის ფირმების მიმართ
- ▶ საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება გამჭვირვალობის ზრდის შედეგად
- ▶ სტიმული აუდიტორული საქმიანობის ბაზრის ზრდისთვის

ძირითადი შესაძლებლობები და გამოწვევები საქართველოში

▶ გამოწვევები

- ▶ არასაკმარისი საბაზრო სტიმული, რის გამოც ანგარიშგებისა და აუდიტის დამატებითი მოთხოვნები ბაზრის მონაწილეების მიერ აღიქმება, როგორც უბრალოდ ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული დანახარჯების გაზრდა
- ▶ აუდიტის პროფესიის მცირერიცხოვნება, მაღალი კონკურენცია პროფესიონალ რესურსზე და პენსიაზე გასული პარტნიორის არარსებობა
- ▶ აუდიტის ბაზრისა და აუდიტორული კომპანიების მოკრძალებული ზომა.
- ▶ „სამსახურის“ მუდმივი გაძლიერება

თანამშრომლობის მიმდინარე მდგომარეობა

- ▶ საბჭო
- ▶ ღია დისკუსიები
- ▶ კონსულტაციები
- ▶ მომავლის პერსპექტივა



გმადლობთ!